საქართველო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

N 19
28/03/2019

19-07-4-201903281743

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**განკარგულება №19**
**2019 წლის 28 მარტი**
**ქ. ლანჩხუთი**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის ლანჩხუთისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული - სოფელ ნიგოითში მდებარე 9505.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული N1, N2 (მოედანი) შენობა-ნაგებობები (ს/კ 27.04.51.329) შპს „ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის ლანჩხუთს“ (ს/ნ 433649493) გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით.

**მუხლი 2**. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3**. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო